


მამუკა სალუქვაძე

ნუჭარ მარტყოფის ვარსკვლავი

ლექსები
თაჩგმანები
ჩანახატი
სიმღერები

აკოპიონის ხმით
CD



მამუკა სალუქვაძე



ნუჭა ძაღუ ვასენჯაჲს

ღუქსები
თახგმანები
ჩანახატი
სიმღეხები

ავტოჩის ხმით
CD

თბილისი
2023

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



შემდგენელი: **დათო შულღიაშვილი**

რედაქტორები: **დოდო იაშვილი**
ლუკა სალუქვაძე

დაკაბადონება: **გიორგი ბაგრატიონი**

დიზაინი: **დათო შულღიაშვილი**
გიორგი ბაგრატიონი

აუდიოჩანაწერების რედაქტირება და
მასტირინგი: **ილია ჯღარკავა**

აუდიოდისკი მომზადდა
თიბისის მხარდაჭერით



თიბისი

სტამბა: შპს ფავორიტი სტილი

© მამუკა სალუქვაძე, 2023

ISBN 978-9941-8-5316-6

სარჩევი

| | | |
|---------------------------------------|------|----|
| გიორგი კეკელიძე – გათენებამდე | | 8 |
| ლექსები | CD | |
| 1. *** შენ წეროებთან ერთად გაფრინდი | 0:22 | 12 |
| 2. ნაწვიმარი ქუჩები | 0:28 | 13 |
| 3. დაირების დარი | 0:18 | 14 |
| 4. *** ცეცხლისაგან ნალიას მოეკიდა ალი | 0:18 | 15 |
| 5. *** ვერ გამიგებ, თავდახრილო ვარდო | 0:22 | 16 |
| 6. თეთრი მარხილი | 0:22 | 17 |
| 7. *** ფიფქი, ნაზი და პატარა | 0:20 | 18 |
| 8. *** გულო, ფიქრი დაირაზე | 0:18 | 19 |
| 9. *** სადღაც, კუნძულ სინაზე | 0:11 | 20 |
| 10. სურათი | 0:14 | 21 |
| 11. კარაველები | 0:20 | 22 |
| 12. დემონი | 0:18 | 23 |
| 13. იასამანი | 1:18 | 24 |

| | | |
|--|------|----|
| 14. ღამე სასაფლაოზე | 0:55 | 26 |
| 15. ტორეადორი | 0:50 | 27 |
| 16. სალამო | 0:30 | 28 |
| 17. სარკე | 0:28 | 29 |
| 18. ნაპირი | 0:27 | 30 |
| 19. წუხელ სალამოს | 0:35 | 31 |
| 20. სიმთვრალე | 0:19 | 32 |
| 21. ლუდიხანაში | 0:20 | 33 |
| 22. გახსოვს? | 0:36 | 34 |
| 23. *** ამ ქუჩებით, ამ ბალებით | 0:32 | 35 |
| 24. ფოთოლცვენისას | 0:47 | 36 |
| 25. თოლია | 0:27 | 37 |
| 26. *** ქარი არწივობდა | 0:26 | 38 |
| 27. ედეღვაისები | 0:35 | 39 |
| 28. *** ყინული ოცნების შორეულ გლეჩერთა | 0:26 | 40 |
| 29. *** მზის სხივი დაეცათ ხეებს | 0:14 | 41 |

| | | |
|---|------|----|
| 30. მე მზის მხარეში ვარ გაჩენილი | 0:37 | 42 |
| 31. ზამთრის ბალებში სძინავთ ამურებს | 0:48 | 43 |
| 32. რეგატა | 0:33 | 44 |
| 33. არმაზიდან | 0:50 | 45 |
| 34. *** მზე ამოვიდა ფუძიამადან | 0:34 | 47 |
| 35. *** თვალი მოჰკრა კავკასიის მთებს | 0:26 | 48 |
| 36. *** გამაგებინე, იავ, რა ხდება | 0:41 | 49 |
| 37. ნატურმორტი ზეთში | 0:34 | 51 |
| 38. *** სურომ დაფარა თეთრი კედელი | 0:15 | 53 |
| 39. ხედი ზემოდან | 0:16 | 54 |
| 40. *** ჰორიზონტზე დგას სასახლე ღრუბლის | 0:16 | 55 |
| 41. *** ვინ ააშენოს სახლი ახალი | 0:17 | 56 |
| 42. *** ოაზისის მაძებარმა მირაჟებმა | 0:18 | 57 |
| 43. *** რადგან ყვავილებს სიჩუმე შვენით | 0:15 | 58 |
| 44. *** ოთახში იდგა კვამლი | 0:27 | 59 |
| 45. სასწაული | 0:50 | 60 |

| | | |
|------------------------------------|------|----|
| 46. მცნება მეორე | 1:16 | 63 |
| 47. მცნება მეცხრე | 1:05 | 64 |
| 48. ამაოება ამაოებათა (ეკლესიასტე) | 1:50 | 66 |

თარგმანები

| | | |
|--------------------------------------|------|----|
| 49. ფოთოლი (ანტუან ვინსენტ არნო) | 0:52 | 70 |
| 50. შემოდგომის სიმღერა (პოლ ვერლენი) | 0:59 | 72 |
| 51. იყო ფოთოლი (რობერ დესნოსი) | 0:39 | 74 |

ჩანახატი

| | | |
|------------------------------|------|----|
| 52. *** დიდებულია მთანმინდა! | 1:00 | 76 |
|------------------------------|------|----|

სიმღერები

| | | |
|-------------------|------|----|
| 53. ძველი თბილისი | 4:05 | 79 |
| 54. ჩემი ბათუმი | 3:44 | 80 |

| | | |
|---------------|--|----|
| შემდგენლისგან | | 86 |
|---------------|--|----|



მამუკა სალუქვაძე
1955-1997

გათენებამდე

„დღესაც ასე გავატარე დღე...
თრთოდნენ ციციანათელები“

ეს შეგნებული ტავტოლოგია („დღესაც ... დღე“) და უმსუბუქესი მეტაფორა („მთრთოლვარე ციციანათელები“) არის კარგი გასაღები იმ დიდი სასახლისა, რომელსაც მამუკა სალუქვაძის პოეზია ჰქვია. ბევრი ოთახია ამ სასახლეში, ზოგი უკარო და ნათელი, ზოგიც – ბნელი და ჩარაზული, თვითონ ავტორსაც რომ არ სურს თითქოს მათი გახსენება, მაგრამ პოეტობა ასეთი ხელობაა, შთაგონება თავს გაძალებს და წერ.

ზოგი ლექსი მართლაც იალქნიან გემს ჰგავს, რიტმით, ფორმით, სათქმელის მუსიკალური ლელვით:

„ფიქრის პატარა კარაველები,
ვალენსიიდან ვენეციაში ეშურებიან,
მთებით, ველებით,
გზებით – გველებით,
ცის სარტყელებით,
ცისარტყელებით
გზას მიაპობენ, გზად კიაფობენ
ფიქრის პატარა კარაველები“.

გალაკტიონისეულ „მე მთელ დედამინას დუელში ვინვევს“ ეხმიანება თითქოს ეს საოცარი სტრიქონები:

„ქრებოდა წამი, როგორც სიზმარი,
მიწა ხვნეშოდა, ბებერი მოორი,
იყო ცხოვრება – საბრალო ხარი,
მე კი – ამაყი ტორეადორი“.

ერთი, დაუკვირველებელი შეხედვით, სტრიქონების უბრა-
ლოებით განცდილი სიმარტივე, სინამდვილეში ძალიან ღრმა და
მნიშვნელოვანი სათქმელია:

„ოცდათერთმეტი დეკემბერია,
როგორ გავიდა ეს წელიწადი...
სულ, რაც შენ გიცნობ, ერთი წელია,
და სამი თვეა, რაც შემეყვარდი“.

აბა ნახეთ, ერთი მხრივ როგორი ყოფითი და მეორე მხრივ,
ძალიან ფილოსოფიური პოეზიაა, თანაც შესამჩნევად მელოდიური:

„ლუდით და ლოდინით დაღლილი
თვალები ეძებდნენ მზეს“.

ატიპური რითმების დიდოსტატური მომარჯვებაა ამ სტროფ-
ში, მართლაც რომ უმაღლესი კლასი:

„მიჭირს გადალახვა წარსულ სიძნელეთა,
მაგრამ სიყვარული სევდით არ ივსება,
ოცნებებს მოაქვთ დღეთა სიძველიდან
ედელვაისები“.

ანტიკური სოფისტიკა და აღმოსავლური მინიმალიზმი ერ-
წყმის ერთმანეთს ამ ფრაზაში:

„მზე სამუდამოდ ამოვიდა ფუძიამაღან“.

აქვეა მისი „ათი მცნება“, აქვეა მისი შესანიშნავი თარგმანე-
ბი ფრანგული პოეზიიდან, ჩანახატი, სიმღერები; მოკლედ, დიდი
და მნიშვნელოვანი შემოქმედება ამ ქვეყნიდან ნაადრევად წასუ-
ლი უნიჭიერესი კაცის – მამუკა სალუქვაძის. გრძელი და საინ-
ტერესო მოგზაურობა გელოდებათ, აუცილებლად გირჩევთ.

გიორგი კეკელიძე



დექსები

1.

* * *

შენ წეროებთან ერთად გაფრინდი
და მათთან ერთად აღარ დაბრუნდი,
გაფრინდი სადღაც და არ დაბრუნდი,
და მახსოვს ლურჯი გქონდა თვალები.
დღეს წეროების შემომხვდა გუნდი,
სევდიანი და ნამტირაღევი.



2.

ნანვიმარი ქუჩები

მთელი დღე ნვიმდა, საოცრად ნვიმდა,
დასველებული დარჩნენ ქუჩები
და ქუჩებს დარჩათ საოცრად წმინდა,
ჯერ კიდევ სველი, ნაზი ტუჩები
და მზეს ჰკოცნიდნენ ნაზი ტუჩები,
ღრუბლებს ფანტავდნენ სველი ხელებით...
გაოცებული დარჩნენ ქუჩები,
როდესაც ნახეს ცისარტყელები.



3.

დაირების დარი

დაირების დარია,
დარი, მარა რა დარი...
ეს პატარა დაირა
ნეტა ჩუმად რად არი?
დაირების დარია,
მზის და მთვარის სადარი...
გარინდების დაირა
ნეტავ ახლა სად არი?

1969



4.

* * *

ცეცხლისაგან ნალიას
მოეკიდა ალი,
ცეცხლის შუქზე ნალია
იყო სოფლის თვალი.
ალიანმა ნალიამ
დათენთილი ღრუბლების
სადღეგრძელო დალია:
– ვიყოთ თავისუფლები!

თებერვალი, 1968



5.

* * *

ვერ გამიგებ თავდახრილო ვარდო,
თუ მე რაზე ვდარდობ,
რომ ცა მინდა, მსურს მე ახლოს;
ციდან მთვარე რომ მეახლოს
და მეც ველი, რომ მეახლოს.
აი, რა მსურს, რაზე ვდარდობ,
თავდახრილო ვარდო.

1964



6.

თეთრი მარხილი

ცა გატეხილი,
გზა გაბზარული,
გზაზე მარხილი...
გადაძახილი,
გადმოძახილი:
– შენი სახელი?
– ჩემი სახელი გაზაფხულია.
– შენი სახელი შემოდგომაა...
გარეთ მარხილი,
თეთრი მარხილი,
ფიქრთა თოვთა...

1967



7.

* * *

ფიფქი ნაზი და პატარა...
და დღე ასე გავატარე გუშინ,
ფიქრი მენტო გულში.

მთვარე სავსე,
ფანტელებით მოფანტული ტყე...
დღესაც ასე გავატარე დღე...
თრთოდნენ ციციანათელები.

1965



8.

* * *

გულო, ფიქრი დაირაზე!
მთვარე უკრავს დაირაზე...
აი, რაზე უკრავს მთვარე:

„რა პატარა დაირია.
ფერი აირდაირია ცაზე.“
და მე ღამე გავათიე ასე.

აპრილი, 1968



9.

* * *

სადღაც, კუნძულ სინაზე,
ერთ პატარა სინაზე
იყო დიდი სინაზე.

თებერვალი, 1968



10.

სურათი

ატმის ტოტი ტიტასავით
მიტორტმანებს ცის ტატნობზე.
ზღვაზე ნავებს იალქანი
ნიავექარით მიაქანებს.

თებერვალი, 1967



11.

კარაველები*

ფიქრის პატარა კარაველები
ვალენსიიდან ვენეციაში ეშურებიან.
მთებით, ველებით,
გზებით – გველებით,
ცის სარტყელებით,
ცისარტყელებით
გზას მიაპობენ,
გზად კიაფობენ
ფიქრის პატარა კარაველები.

მარტი, 1968



* კარაველა (იტალ. Caravella) – საზღვაო ერთგემბანიანი იალქნიანი გემი, გავრცელებული XIII–XVII საუკუნეებში ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში.

12.

დემონი

ვემონე დემონს და
მე სევდა მემონა;
მე, მონა დემონის, ბილიკებს გავყევი;
სიცილით ნარყევი
შფოთავდნენ არყები
და ასე მეგონა,
რომ მთელი ბუნება დემონს დაემონა.

მარტი, 1966



13.

იასამანი

მე თავს მოვიკლავ, ალბათ, სულ მალე
და თქვენც ხომ მოხვალთ ცისფერ საფლავთან,
სადაც ახლახან იასამანი აყვავდა.

ლურჯ იასამანს მოსტეხენ ტოტს და
გაღელილ მკერდზე დამასვენებენ;
გამიხსენებენ, კუბოს ცრემლებით დაასველებენ.

ბოლოს დამფარავს საკმევლის სუნი
და დაადებენ ფიცარზე ფიცარს,
დაასველებენ კუბოს ცრემლებით,
თითქოს სისველე აკლდესო მიწას,

მიწას, რომელიც ყველას სახლია,
ყველას სახლია, ადრე თუ გვიან,
რომლის წინაშეც თავებს დახრიან,
ამჟამად ვისაც ღმერთები ჰქვიათ.

მერე უგრძნობლად გავლენ დღეები,
თქვენც მოხვალთ, ალბათ, და ვალს მოიხდით,
ჩრდილებს დახრიან ჩემ წინ ხეები,
თქვენც დახრით თავებს, ქუდებს მოიხდით;

დააწყობთ ქუდებს საფლავის ქვაზე
და ჩემს საფლავთან დიდხანს ისხდებით,
ისხდებით, თუმცა იფიქრებთ სხვაზე
და მე სუყველას დაგავინყდებით.

თქვენ ყველა გრძნობას გათელავთ, ალბათ,
გათელილ გრძნობებს გადებთ ხიდებად,
დაენაფებით ცხოვრებას ხარბად
და თქვენი თავის შეგეშინდებათ.

მე თავს მოვიკლავ, ალბათ, სულ მალე
და თქვენც ხომ მოხვალთ ცისფერ საფლავთან,
სადაც ახლახან იასამანი აყვავდა.

1967

ღამე სასაფლაოზე

სივრცე – უსულო, სული – საგანი,
 გზა უკუნეთი გადამილახავს
 და ბოლოს ვნახე ბნელი საკანი,
 რომელიც მიმქრალ ხსოვნას ინახავს.
 შავ მარმარილოს გზა ეფარება
 და ქარი ფანტავს ზამბახთა კონებს,
 ოცნება წარსულს მიეზარება
 და მივიწყებულ სახეს იგონებს.
 ქარი – წარსულის, ქარი – მომავლის,
 მარადიული ქართა ცვალება;
 არ მეშინია, მხსნელად მომავლენს
 წამს უეცარი გარდაცვალება.
 სულთა საკანი, ღია სარკმელი;
 მსურს გასაქანი, გაქცევა მინდა
 სიკვდილისაგან სიცოცხლისაკენ...
 მტვრით დაფარული გზა დაიწმინდა.
 შავ მარმარილოს გზა ეფარება,
 თრთიან მიმქრალი მთვარის ლანდები,
 სულს გარიჟრაჟი შეეპარება,
 ცის დასავალზე ცეცხლს დაანთებენ.

15.

ტორეადორი

ქრებოდა წამი, როგორც სიზმარი,
მინა ხვნეშოდა, ბებერი მძორი
იყო ცხოვრება – საბრალო ხარი,
მე კი – ამაყი ტორეადორი.
ვიბრძოდით დიდხანს, ვიბრძოდით მწარედ
და გვიყურებდა ათასი თვალი,
ზოგი დაცინვით, ზოგი მწუხარედ,
ზოგი სეირის ყურებით მთვრალი,
და ფრიალებდა წითელი ზეცა,
დარჩა ხალხის ბრბო გაოცებული,
როცა დაჭრილი ხარი დაეცა
და ცხელ მინაზე დალია სული,
მქონდა ცივი და შეშლილი სახე,
და ტრიბუნების ამაყი მზერით
მოკლული ხარის თვალებში ვნახე
მე სისხლიანი წითელი ფერი.
ქრებოდა წამი, როგორც სიზმარი,
მინა ხვნეშოდა, ბებერი მძორი,
იყო ცხოვრება – მოკლული ხარი,
მე კი – ამაყი ტორეადორი.

16.

სალამო

მზე დასავლეთით გადახრილიყო,
გზა ვრცელი ჰქონდა, გადაღლილიყო;
ღრუბლები მთებზე გადაყრილიყო,
ვით თმები ქალის, მგლოვიარისა.

მზეს მთების იქით ეპოვა ბინა,
მზის შუქს მინდვრები გადაერბინა;
სალამოს მკერდზე გადაეფინა
ძაძები ქალის, მგლოვიარისა.



17.

სარკე

სარკეში ბრუნდება ფიქრი შორეული,
მოჩანს სილუეტი დაღლილი სახის,
თვალეზამღვრეული ჩემი ორეული
თითქოს დამცინავად სარკიდან მეძახის.

მესმის უეცარი გამოძახილი
საკუთარ თავთან ამაო ნდობის,
მეც მივესალმები, ისევ თავდახრილი:
– სალამო მშვიდობის, სალამო მშვიდობის!



18.

ნაპირი

სევდიან ნაპირზე დაქროდნენ ქარები,
ექებდნენ ქარეულ გზებს,
შენ კი კვლავ ლამაზი და მიუკარება,
ღრუბლებში ეძებდი მზეს.

სევდიან ნაპირზე დაქროდნენ ქარები,
ზღვაში ქანაობდა გემი.
ვიცი, რომ არასდროს აღარ მეყვარები...
დღეს მაინც იყავი ჩემი.



19.

ნუხელ სალამოს

ოცდათერთმეტი დეკემბერია,
როგორ გავიდა ეს წელიწადი...
სულ, რაც შენ გიცნობ, ერთი წელია
და სამი თვეა, რაც შემეყვარდი.

ნუხელ სალამოს ჩემთან იყავი,
ციდან ჩამოსულ ფერიას ჰგავდი.
მე რომ მხატვარი ვყოფილიყავი,
ღვთისმშობლის ნაცვლად შენ დაგხატავდი.

გამიფრინდება ლამაზი წლები,
გამიფრინდება ოცნება ლალი,
დარჩება მკერდზე შენი ცრემლები
და სიყვარულის ნითელი დალი.

1969

20.

სიმთვრალე

ვარდება მთვარე
ღვინიან კასრში,
მეც ვფიქრობ,
რად ვახელ თვალებს?
რაზე გამელვოდა?
ბრუნავს და ტრიალებს,
ბრუნავს და ტრიალებს,
ბრუნავს და ტრიალებს
მინა.



21.

ლუდხანაში

ლუდით და ლოდინით დაღლილი
თვალები ეძებდნენ მზეს.

მთვრალეებმა გაიგეს, რომ უნდა მჯდარიყვნენ
და გრძნობა უზომოდ ელახათ.

ისინი ეძებდნენ გზებს, სადმე გამძვრალიყვნენ
და თეთრი სინათლე ენახათ.



22.

გახსოვს?

გახსოვს თეატრი შუალამისა?
მთვარის ჩრდილები დარბოდნენ თოვლში.
გახსოვს ის მთვარე, თეთრი სამოსით,
მოხეტიალე ჯამბაზის როლში?

გახსოვს ხეები ტოტებს რომ ხრიდნენ?
თითქოს გაყინულ ცეკვას ცეკვავდნენ,
თოვლი ცვიოდა ყოველი მხრიდან,
მთების გადაღმა ზარებს რეკავდნენ;

გახსოვს? მისდევდა ლამაზ საკრავებს
ჩუმი სიმღერა თეთრი ქარისა;
მთვარე ართობდა ჯუჯა ვარსკვლავებს.
გახსოვს თეატრი შუალამისა?

1969

23.

* * *

ამ ქუჩებით, ამ ბალებით,
ალუჩებით, ზამბახებით,
შროშანებით და იებით,
ვარდებით და ბაიებით,
გაზაფხული მოდის ჩემთან.

ველ-მინდვრებით და ტყეებით,
სილამაზის დატყვევებით,
ტირიფებით და ვერხვებით,
ტირის გული და ვერ ვხვდები,
შენზე ფიქრი რად დამჩემდა.

ამ სახლებით და ქოხებით,
უეცარი ამბოხებით,
ამ ქუჩებით და ბალებით,
რა ვიცოდი, ზამბახები
მეფედ მე თუ ამირჩევდა.

1966

24.

ფოთოლცვენისას

გვიან ფოთოლცვენისას გვიან ფოთლებს, ჩამოყრილს,
ხეებს, ტოტებჩამოხრილს, მწუხარება ედება.
მოგონებით დაღლილი ღამე ცრემლებს ჩამოყრის,
ღამე ცრემლებს ჩამოღვრის, არ სურს დაიმედება.

ოჰ, არასდროს მინახავს სხვა მე ღამე ასეთი,
სიყვარულს რომ ინახავს, ოცნებებს რომ არა სთმობს,
ამ ღამესაც ეკუთვნის ტკივილის მეასედი,
მას ხომ ტკენა ამგვარი არ უგრძენია არასდროს.

ცის ფერმიხდილ კიდეებს გადაიფრენს ქურანი,*
მინა მძიმედ იღვიძებს, ცა ფითრდება, თენდება,
მზის სხივებით დამფრთხალი იფანტება ბურანი
და მე ფოთოლცვენისას ბალი გამახსენდება.

* ქურანი – წაბლისფერი ცხენი.

25.

თოლია

რა ფერმკრთალია ჩემი თოლია,
სუნთქვა მისი – ფერთაღია,
ღელვა – ფოთოლია.

ზღვათა მერწყულია ჩემი თოლია,
ფრთები მისი მწვერვალთა თოვლია,
ფრენა მისი ქარისეულია,
მისი სისნეულე ფარული და ფარისეულია.

რა ფერმკრთალია ჩემი თოლია,
აღბათ სნეულია
და ზღვაში დაეძებს ქიმებს,
დაღლილ ექიმებს.

8 იანვარი, 1971

26.

* * *

ქარი არნივობდა,
ხეებს არწევდა
და ტყეს არ სციოდა,
თოვდა და წვიმდა,
თოვლს ქარი ფანტავდა,
ბოლოს ყველაფერი გათავდა
და ცა დაინმინდა,
დარჩა ვარსკვლავების მძივი
და ღამე ცივი...
ქარი არ წიოდა,
ტყეს რომ არ არწევდა,
ხე ტოტს აღარ წევდა.
გათენდა.

10 იანვარი, 1971

27.

ედელვაისები

მიჭირს გადალახვა წარსულ სიძნელეთა,
მაგრამ სიყვარული სევდით არ ივსება,
ოცნებებს მოაქვთ დღეთა სიძველიდან
ედელვაისები.

მიპყრობს მოლოდინი ლამაზ სიახლეთა,
თუმცა ნაპრალებში ღამე იპარება,
ნისლი დაეშვება ციურ სიმაღლიდან
და მეც მომინდება წარსულს მიბარება.

კვლავ გამოჩნდებიან შორი მყინვარები,
სადაც მარადია ფერთა მაისობა,
გიჟურ დაჟინებით სულში მძვინვარებენ
ედელვაისები.

8 იანვარი, 1971

28.

* * *

ყინული, ოცნების შორეულ გლეჩერთა,*
ლიმილმა გაადნო და მყინვარს მონყვიტა.
ვიტრინებს მიანყდი და უცბად შეჩერდი,
გრძნობდი, რომ უშენოდ მომწყინდა.

სალამოს ქუჩებში ფიქრები ფარული
ფიფქებად დაცვინდა, მერე კი დათოვა...
დავცილდით და გულმა ჩვენი სიყვარული
ქუჩაში დატოვა.



* გლეჩერი (გერმ. Gletscher) – მყინვარი.

29.

* * *

მზის სხივი დაეცათ ხეებს,
ჩრდილები დაეცნენ მიწას
და მზე ერთგულებას ჰფიცავს
ამგვარ გაზაფხულის დღეებს.

10 იანვარი, 1971



30.

მე მზის მხარეში ვარ გაჩენილი

მე მზის მხარეში ვარ გაჩენილი
და ამგვარ ყინვებს არ ვარ ჩვეული.
ქარების ქროლვას გადარჩენია
ოცნება, ცალად გადარჩეული.
გაძარცვულ ხეებს ჰგვანან დღეები
და მე დაღლილი ამგვარი ბედით,
ვგრძნობ საოცრებას – სამოთხეები
მელოდებიან აღმოსავლეთით
და მოლოდინით დატყვევებული
საოცრად ნელა გავლენ წამები,
წუთები, ფიქრში გატყავებული
და მოგონებით განანამები...
მე ამგვარ დღეებს არ ვარ ჩვეული,
ჩემთვის ეს მწარე განაჩენია,
ქართა ქროლვაში გადარჩეული
ოცნება ყინვებს გადარჩენია.

9 იანვარი, 1971

31.

ზამთრის ბალებში სძინავთ ამურებს

ჭვარტლი ედება თეთრ საკვამურებს,
სახურავებზე ქარი ხარხარებს,
ზამთრის ბალებში სძინავთ ამურებს
და სიზმარეულს ხედავენ მხარეს,
სადაც გაზაფხულის ფერთა სიბევრეში,
ტყეებს შერჩენიათ მწვანე მიმოზები,
სადაც მოგონება, ჟამთა სიბერეში,
ლამაზ ოცნებების ფარჩით იმოსება.
ქრიან სამოთხიდან მძლავრი გრიგალები
ყოველგვარ ტკივილის გადასალახავად.
როცა სიჭაბუკის წლები ქრიალებენ,
მათზე მშვენიერი რაა სანახავად?
გავლენ დღეები, დადნება თოვლი
და თოლიების თეთრი გუნდებით,
მთების გადმოვლით, ზღვების გადმოვლით,
ისევ სიყვარულს დავუბრუნდებით.

32.

რეგატა*

დამშვიდობების ზარი რეკავდა
და მენავეებს ეძახდა ქარი,
იმართებოდა დიდი რეგატა,
ჯერარყოფილი და საოცარი.

გულმა გააპო სივრცეთა ალყა,
მჯეროდა, ნავი მიზანს მიაგნებს,
როცა შორიდან მომსკდარი ტალღა
ეხეთქებოდა დაღლილ იალქნებს,

ხომალდის ფერდებს გაუჩნდათ ბზარი,
ნაპირზე ზარი ისევ რეკავდა,
თეთრ სასთუმალთან გაქრა სიზმარი
და სასთუმალისფერი რეგატა.

* რეგატა (იტალ. Regatta) – იალქნიანი ნავების შეჯიბრი

33.


არმაზიდან

წმინდაა და სპეტაკი მოგონება ყოველი,
მთებზე გადუფენიათ თეთრი ბაირალები.
არმაზიდან გუმბათი მოჩანს სვეტიცხოველის,
მოელვარე აღმასით მოჭედილი თალები.

სასარეკლე კოშკიდან მდუმარება საზარი
აირეკლავს სივრცეებს, სიშორესაც მიწვდება,
თითქოს მდუმარებისთვის არ არსებობს საზღვარი,
თითქოს სიმარტოვეში სივრცე გამოინვრთება,

მაგრამ მოჩვენებაა მდუმარება ყოველი.
სიახლოვე სიახლის სიმაღლეს უერთდება,
არმაზიდან გუმბათი მოჩანს სვეტიცხოველის,
სადაც თვითონ ოცნება ავა და გაღმერთდება.





მამუკა საფუქვაძე

ჭეზახიუძი

34.

* * *

მზე ამოვიდა ფუძიამადან.

– ნახვალ? ნაყვები?

– წერილს გამატან? –

მაგრამ სად გაქრა ნეტავ წერილი?

ან სად წავიდა თავად მწერალი?

.....

ოდესლაც, ალბათ, ფუძიამაც იყო მწვერვალი...

და მზე ამოვიდა ფუძიამადან,

მზე სამუდამოდ ამოვიდა ფუძიამადან.



35.

* * *

თვალი მოჰკრა კავკასიის მთებს თოვლიანს
და საბრალო თეთრ თოლიას,
ფრთებთრთოლიას,
დღეს პირველად შეეშინდა ღელვის...
იქნებ ხილვის ანდა თვალთ ახელვის.



36.


* * *

– გამაგებინე, იავ, რა ხდება,
ქვეყანა რისთვის იარაღდება?!

– გეტყვი, მისმინე, რადგან კაცი დაფიქრდეს დროა,
ადამიანთა უგნურებით დაიქცა ტროა
და არაერთ დღეს აგებულნი დაინგრა რომი.
დღეს? დღეს კი, ალბათ, მთელ ქვეყანას დალუპავს ომი.

– შენც არ გცოდნია, იავ, რა ხდება...
ნუ გეშინია, ყველა სიზმარი კი არ ახდება...





მამუკა სალუქვაძის ავტოგრაფი ლექსისა „ნატურმორტი ზეთში“,
საჩუქრად მხატვარ ვახტანგ გაბუნიას.

37.

ნატურმორტი ზეთში

შავი პურის ყუა, თავს რომ აჭრის თევზს,
მაგიდაზე მდგარი ბოთლის გვერდით დევს.
თლილი არყის ჭიქა, იქვე კათხა ლუდის.
კათხას, როგორც ნახატს, თევზის სუნი უდის.

.....

საოცარი ხელობაა მხატვრობა,
დაუღეველად შეიძლება დათრობა.





მამუკა სალუქვაძის პორტრეტი
მხატვარი: ვახტანგ გაბუნია

38.

* * *

სურომ დაფარა თეთრი კედელი,
სულ რომ აღარ ჩანს...
და რადგან არ იყო გამოკეტილი,
სარკმელი გადარჩა.



39.

ხედი ზემოდან

ისე ამშვენებს ქალაქს სიონი,
როგორც მთაწმინდას გალაკტიონი.



40.

* * *

ჰორიზონტზე დგას სასახლე ღრუბლის,
სამყოფელი უფლის.
თვალს არ ძალუძს გადალახვა ზღურბლის.



41.

* * *

ვინ ააშენოს სახლი ახალი,
ტაჯი მაჰალზე უფრო მაღალი;
მსგავსი ოსტატი განა ვინ არის,
თუ არა იგი, მზე უჩინარი.



42.

* * *

ოაზისის მადებარმა მირაჟებმა
უდაბნოში ჰპოვეს ია.
დალიეს და დაიღია
.....
საოცარი ყვავიღია პოეზია.



43.

* * *

რადგან ყვავილებს სიჩუმე შვენით,
იყავი ჩუმად, ჩემო იავ,
მე მესმის შენი.



44.

* * *

ოთახში იდგა კვამლი,
სავარძელი,
კარადა,
მაგიდა;
მაგიდაზე – ვაზა ყვავილებით და სარკე;
სარკეში – ვაზა ყვავილებით,
მაგიდა,
კარადა,
სავარძელი...




45.

სასწავლი

თავდაპირველად ისწავლი თმენას,
დუმილს და სმენას;
შემდეგ, მოკვდავი ბუნების ენას;
მერე, უკვდავი ბუნების ენას;
კვალად, შეიძლებ საკუთარი არსების რწმენას
და ბოლოს, თავად იქცევი არსად,
რომ იყო ყველგან, და იყო არსად,
რომ ყველაფერი გეჩვენოს არად
და იყო მარად, მარად და მარად.

.....
მაგრამ ამისთვის დღე და ღამე უნდა სწავლობდე
და სულს სწამლობდე.





მე ვარ უყალი ღმერთი შენი, და არა იყვნენ შენდა ღმერთნი
უგსენნი ჩემსა გარეშე.

არა ჰქმნე თავისა შენისა კუნძი, არცა ყფლაყფე მსგავსნი,
რადღენი არს ცათა შინა ზე, და რადღენი არს ქვეყანასა ზედა
ქვე, და რადღენი არს წყალთა შინა და ქვეშე ქვეყანისა, არა
თაყვანი-მსცე მათ და არცა მსახურებდე მათ.

არა მთლთ სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამალსა ზედა.

მთისხერე დღე იგი შამათი და წმიდა ჰყავ იგი: უქვს დღე
იქმთვე, და ჰქმნე მათ შინა ყფულთვე საძმე შენი, ხლთ დღე
იგი მუშვიდე შამათი არს უფლისა ღვთისა შენისა.

ათი მცნება

პატიუ-იე მამისა შენსა და ღვინისა შენსა, რათა კითილი გყდის შენ
და დღეგარბულ იქნ ქვეყანასა ზედა.

არა ვაგ-პულა.

არა იბრუშთ.

არა იპართ.

არა ცილი ჰსწამლ მოყვასისა შენსა წამეშითა ცრუთია.

არა გული გითქმიდეს ცლლისათვის მოყვასისა შენისა, არა
გული გითქმიდეს სახლისათვის მოყვასისა შენისა, არცა ყანისა
შისისა, არცა მღნისა შისისა, არცა მხუჯლისა შისისა, არცა
სართისა შისისა, არცა კარაჯლისა შისისა, არცა ყფლისა
საცხლავისისა შისისა, არცა ყფლისა შისისა, რადღა იქნ
მოყვასისა შენისა.

46.

მცნება მეორე

არ გაიხადო თავი შენი კერპად, იცოდე,
თუ არ გინდა, რომ ჯოჯოხეთურ ცეცხლში იწვოდე.
შენს სატანჯველად ისიც კმარა, რაც რომ იცოდე
და ძედ ადამის, ანუ ცოდვის შვილად იწოდე.
არ გაიხადო შენდა კერპად და შენდა ხატად
არა არსება, არც უსულო, არც სულიერი,
რასაც რომ ჰქონდეს, ან არ ჰქონდეს სახე-იერი,
რაც ნახო სიზმრად, ანუ რაც რომ გეჩვენოს ცხადად.
რაც კი რამ არის ქვეყანასა და ცათა შინა,
რაც კი რამ არის ქვეყანასა და ცათა ზედა,
არ გაიხადო გონებისა თვალისა ჩინად,
რამეთუ ბედი არ გენიოს შეცდომილ ძეთა.
არ გაიხადო არა კერპი შენდა სალოცად,
არ გააღმერთო უკეთური და უსახური;
შმაგად და შლეგად იწოდები, განა სალოსად,
თუ არ იქენი ჭეშმარიტი ღმერთის მსახური.

47.

მცნება მეცხრე

მოყვასსა შენსა ტყუილუბრალოდ ნუ სწამებ ცილსა;
მშვიდად მიძინარე ნუ დაუფრთხობ უშფოთველ ძილსა;
უბრალო კაცზე ნუ იკადრებ სიტყვასა ძვირსა;
ნათესავს შენსას შენივ ხელით ნუ უთხრი ძირსა.
მოყვასსა შენსა ტყუილუბრალოდ ნუ სწამებ ცილსა;
ბელზებელთან და სატანასთან ნუ იყრი წილსა.
საბოლოოდ ხომ უსამართლო და ცრუ ბრალდება
შენივე სულის საზიანოდ მოტრიალდება.
მოყვასსა შენსა ტყუილუბრალოდ ნუ სწამებ ცილსა;
განუდექ ბოროტს, თავი შენი ეშმაკს არიდე;
იცხოვრე ღმერთის სიყვარულით, იჭეშმარიტე,
რომ დაიმკვიდრო სასუფეველად ლაყვარდი ცისა.
რანამს მოყვასი ცილს დაგწამებს არ გეამება,
იტყვი: – რას სჩადის ეს უღმერთო?! რად სცოდავს ასე?! –
მაშ, ტყუილუბრალოდ ნურც შენ იტყვი რასმე ცუდს სხვაზე,
რამეთუ მძიმე ცოდვა არის ცილისწამება.

მამუკა სულქვაძე

სამონები
სამონებთან

48.

ამაოება ამაოებათა

ეკლესიასტე

(თავი პირველი: 1-5; 15-18)

- 1-2. ისმინეთ სიტყვები მეფისა დიდისა, იერუსალიმის ღირსეულ მეფისა, ეკლესიასტესი, ძისა დავითისა, ვინც არსი განჭვრიტა ამაოებისა, ვინც ფუჭად არ იწყო თავისა ქება და სცნო ამაოება ამაოებათა. სცნო და სთქვა, ყოველი ამაო არისო, ფუჭი ოცნება და ქროლვაა ქარისო.
3. რას ჰმატებს კაცს შრომა, მზის ქვეშ რომ ეწევა? ადრე თუ გვიან ხომ სიკვდილი ეწევა?
4. მიდის თაობა და მის ნაცვლად სხვა მოდის, ქვეყნად არაფერი ამით არ იცვლება;
5. მზე ჩადის და დილით მზე ისევ ამოდის. რომ არ ამოვიდეს განა შეიძლება? არა, არასოდეს ასე არ მოხდება: მზე ჩაესვენება და კვლავ აღმოხდება.
.....

15. სიმართლეს ვით ჰპოვებ? მარტივს ვით განმარტავ?
ნაკლულს ვით შეავსებს? მრუდეს ვით გამართავ?
16. მეფე ვიყავი და ვით არ გამებედა
უპირველესობა – მეფობა მეფეთა?!
სწავლას დავეწაფე, ვიპრომე, ვინვალე,
ბევრი რამ გავიგე, ბევრი რამ ვისწავლე,
სწავლულ-მნიგნობართა კვალდაკვალ ვიარე,
სხვათა უპირატეს ცოდნას ვეზიარე.
17. შეგნება მინდოდა სიბრძნისა სრულისა,
კვალად ამოცნობა უცნობთა ცნებათა,
ესეც გამორჩევა ყოფილა სულისა,
და ამოება ამოებათა.
18. მაშინლა დამეცა ელდა უეცარი,
გავხდი მეცნიერი უფრო უმეცარი.
და მივხვდი, რაც ცოდნა მქონდა და მებადა
ამოებაა ამოებათა.
დავრწმუნდი, კაცს ცოდნა რაც უფრო მეტი აქვს,
რაიმეს გაგების ნაკლებ იმედი აქვს.
რაც მეტის მცოდნე ხარ და მრავლის მნახველი,
მით უფრო გაგტანჯავს დარდი და ნალველი.



თახტმანები

49.

ანტუან-ვინსენტ არნო
(1766-1834)

ფოთოლი

ჩეროს ჩამონაცალო,
ფოთოლო, ფერნაცვალო,
საით მიხვალ?

– არ ვიცი.

მუხა მეხმა დამეხა
და ან ვარ აღარვისი;
ქროლვით თავბრუ დამეხვა;

ნიავსა თუ ბორიას,*
ხეტიალს თუ ბორიალს,
დავეყები, დამარწვევენ.
როდის რა ბედს ვენევი,
ზოგჯერ მთა-ბარს მანვევენ,
ზოგჯერ ტყე-ველს ვენვევი.

* ბორია (კუთხ.) – სიო, ნიავი.

თუმცა, ნატანჯ-ნანვალი,
ფერ- და სახენაცვალი
ვრჩები სულით უცვლელი...
და იქ ნავალ ობოლი,
სადაც დაფნის ფოთოლი,
ანდა ვარდის ფურცელი.

Antoine-Vincent Arnault
(1766-1834)

La Feuille

.....
.....
Je vais où va toute chose,
Où va la feuille de rose
Et la feuille de laurier.



50.

პოლ ვერლენი
(1844-1896)

შემოდგომის სიმღერა

შემოდგომდება,
გული ღონდება,
რომ აგონდება
გათანგულ ჩანგთა
მწუხარე ჰანგთა
მოთქმა-გოდება.

როს დაჰკრავს ზარი,
სულისა მზარი,
მეცვლება ნირი,
გარდასულ დღეთა
აჩრდილებს ვხედავ
და მწარედ ვტირი.

და ვარ თანახმა
აღმა და დაღმა
ვიარო ქარით.
ქარების კოჰორტს
დავყვები, როგორც
ფოთოლი მკვდარი.

Paul Verlaine
(1844-1896)

Chanson d'automne

Les sanglots longs
Des violons
De l'automne
Blessent mon coeur
D'une langueur
Monotone.

.....
.....

51.

Robert Desnos
(1900-1945)

Il était une feuille

Il était une feuille avec ses lignes

Lignes de vie

Lignes de chance

Lignes de cœur

.....

.....

რობერ დესნოსი
(1900-1945)

იყო ფოთოლი

იყო ფოთოლი, დაღარული ხაზებით –

ხაზი ცხოვრების,

ხაზი ბედის,

ხაზი იმედის.

კვალად, ტოტი განშტოებული, გაორება –

ნიშანი ცხოვრების,

ნიშანი ბედის,

ნიშანი იმედის.

ჩვენახეტი

52.

* * *

დიდებულია მთანმინდა!
რამდენი ხანია მამადავითს არ ვწვევივარ!
ხვალ აუცილებლად მივალ, მოვინახულებ;
კიდევ ერთხელ დავრწმუნდები და ისევ გავოცდები:
ვაჟა და გალაკტიონი –
ორი გენია! ერთ ქვეყანაში! ერთ დროს!
მართლაც ბრწყინვალე გამარჯვებაა!
ხვალ თბილისობაზე მე უსათუოდ შევსვამ მათ სადღეგრძელოს,
განცალკევებით.
ჰო, ხვალ თბილისობაა, თქვენო უმაღლესობავ,
ჩემო მთანმინდავ!
სამწუხაროა მხოლოდ, რომ გალაკტიონი ვერ დაესწრება ზეიმს,
რათა თქვას:
ვით დღეს თბილისი ფერში ნაირნაირშია,
თუ დრო არის, დროს ისევ შენ შეჭფერი,
და ვით ქრისტემ გალილეა აირჩია,
მე თბილისი ავირჩიე, ბებერი.

სიმღეხები



ინოლა გურგულია

53.

ქველი თბილისი

*ლექსი მამუკა სალუქვაძისა,
მუსიკა ინოლა გურგულიასი*

მე გამახსენდა გრძელი კაბები,
ბასრი ხანჯლები, შავი ჩოხები.
მე გამახსენდა ქველი თბილისი,
ღვინით მოლხინე ყარაჩოღლები.
მე გამახსენდა ქველი ბაზარი,
ბირკვილნაქარგი ქველი სახლები,
უტეხ მეტეხის დიდი ტაძარი
და მოხატული საყდრის თაღები.
სანთლის შუქში და ჯამთა პრიალში
პატარა ტივი, მტკვარზე მავალი,
ქველი მეთევზე, ბაიათები,
მხარზე ბადე და თევზი მრავალი.
მე გამახსენდა ყარაჩოღლები,
ნამთვრაღევი და ღამე ნათევი,
ქველი თბილისის მალალი სახლი,
სისხამს ნამღერი ბაიათები.

54.

ჩემი ბათუმი

*ლექსი და მუსიკა
მამუკა სალუქვაძისა*

ყოველთვის, ყველგან, მუდამ და მარად,
დაუნდობელი თან მსდევს ფატუმი,*
ნეტა გადიქცეს ცხადი სიზმარად,
რომ თუნდ სიზმარში ვნახო ბათუმი,
ჩემი ბათუმი...

შორს ჰორიზონტზე, თითქოს და ჯარად,
ჩამწკრივებული პალმები დგანან;
ოჰ, ეს არ არის მირაჟი, არა;
ოჰ, ეს არ არის ფატა-მორგანა.**

* ფატუმი (ლათ. Fatum) – გარდაუვალი ბედი; ბედისწერა.

** ფატა-მორგანა (იტალ. Fata-morgana) – მირაჟის ნაირსახეობა, რომლის დროსაც ჰორიზონტზე ჩნდება შორეული კუნძულების, მთების, ქალაქებისა და სხვა ობიექტების სწრაფად ცვალებადი გამოსახულებანი.

ქარს ნაპირისკენ მიჰყვება ფარა,
ზვირთები მართლაც თეთრ კრავებს ჰგვანან;
ოჰ, ეს არ არის მირაჟი, არა;
ოჰ, ეს არ არის ფატა-მორგანა.

მზე იძირება, უშველეთ ჩქარა!..
მაგრამ ეს ნავი მიასწრებს განა?!
ოჰ, ეს არ არის მირაჟი, არა;
ოჰ, ეს არ არის ფატა-მორგანა.

ყოველთვის, ყველგან, მუდამ და მარად,
დაუნდობელი თან მსდევს ფატუმი,
ნეტა გადიქცეს ცხადი სიზმარად,
რომ თუნდ სიზმარში ვნახო ბათუმი,
ჩემი ბათუმი...



Tempo rubato

F Gm C7 F F7

ყო-ველ-თვის, ყველ-გან, მუ-დამ და მა-რად, და-უნ-დო - ბე-ლი თან მსდევს და-ტუ-

Bb D7 G7 C7

მი, ნე-ტა გა-დიქ-ცეს ცხა-დი სიზ-მა - რად, რომ თუნდ სიზ-მარ - ში

Db C7 Fm

ენა-ხო ბა - თუ-მი, წე - მი ბა - თუ - მი. შორს ჰო-რი-

E \flat A \flat B \flat m F7

ზონტ-ზე, თითქოს და ჯა - რად, ჩამ-წერივე - ბუ - ლი პალ - მე - ზი დგა - ნან; რის - კენ მიპ-ყვი - ბა ფა - რა, ზვირ - თე - ზი მართლაც თეთრკრავებს ჰგვა - ნან; რე - ბა, უ - მველეთ ჩქა - რა! მაგ - რამ ეს გე - მი მი - ასწრებს გა - ნა?!

B \flat m F7 B \flat 7 B \flat ° Fm/C

ოჰ, ეს არ ა - რის მი - რა - თი, ა - რა; ოჰ, ეს არ ა - რის

C7 Fm F F

ფა - ტა - მორ - გა - ნა. ქარს ნა - ზი - ნა. ყო - ველ - თვის, მი. მზე ი - ძი

1. 2. 3.

Da Capo ▲▼

Ելի՛ր մե՛կ զճեղճալս ...

Ելի՛ր մե՛կ զճեղճալս ...

Ելի՛ր մե՛կ զճեղճալս ...



შემდგენლისგან

ყველა, ვინც მამუკა სალუქვაძეს იცნობდა, ვისთვისაც ახლობელი, ძვირფასი იყო და არის მისი პოეზია, ერთდროულად სევდითა და იმედით აღბეჭდილი მისი ფაქიზი, ნატიფი სამყარო, მისი ხმის შთამბეჭდავი ინტონაცია, ვფიქრობ, სანუკვარსაჩუქრად ჩათვლის წინამდებარე პუბლიკაციას – ლექსების კრებულს, თანდართული ავტორისეული აუდიოჩანაწერებით. მისი შედგენა-გამოცემის იდეა ერთმა მოულოდნელობამ განაპირობა: ჩვენს საოჯახო არქივში არსებული მაგნიტოფირებიდან ერთ-ერთ ძველ კოჭაზე („ბაბინაზე“), (რომლის დასაწყისში მამუკას ფრანგულ ენაში მეცადინეობაა ჩანერილი), მამუკას მიერ წაკითხული თავისი ოცდაცამეტი ლექსის უნიკალური ჩანაწერი აღმოჩნდა! ფონური ხმაურებით, სახლის პირობებში კუსტარულად ჩანერილი, მაგრამ უძვირფასესი აუდიოჩანაწერის განსაკუთრებულობას ისიც უსვამს ხაზს, რომ მასში ჩანერილი ლექსების უმრავლესობა მამუკა სალუქვაძის სიცოცხლეში თუ შემდგომ გამოქვეყნებულ არცერთ კრებულში არ შესულა.

აუდიოჩანაწერის ზუსტი თარიღი უცნობია, მაგრამ, იქ მოცემული ლექსების მიხედვით, გარკვეულწილად, შესაძლებელია მისი ქრონოლოგიის ფარგლების განსაზღვრა. ამასთან,

ვინაიდან ეს ფირი იმ სახლში ინახებოდა, სადაც მამუკა დაოჯახებამდე, ანუ ცალკე ბინაში გადასვლამდე ცხოვრობდა, ვფიქრობ, რომ ჩანანერი 1976 წლამდე უნდა იყოს შესრულებული. ფირის დასაწყისში მოცემული ფრანგულში მეცადინეობაც მამუკას უცხო ენათა ინსტიტუტში სწავლის პერიოდზე მიანიშნებს, რაც ჩანერის სავარაუდო პერიოდის კუთვნილებას ირიბად ადასტურებს. როგორც ჩანს, ამ მაგნიტოფირის არსებობა ლექსების ავტორსაც დავიწყებული ჰქონდა.

მაგნიტოფირზე ჩასანერად ლექსების შერჩევა თავისთავად მეტყველებს მათდამი ავტორის დამოკიდებულებაზე, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ მრავალი ისეთი ლექსი აკლია ამ სიას, რომელიც მამუკა სალუქვაძის პოეზიის მშვენიერებას წარმოადგენს.

დასანანი, რომ საავტორო აუდიოჩანანერი არ მოგვეპოვება ისეთი შედეგისა, როგორიც რვა წლის ასაკში დაწერილი ლექსია, სახელწოდებით „სარკე მატარებელში“:

მატარებელი მიდის
მთებს ენაცვლება ჭალა,
აქეთ მდინარე დიდი,
იქით აშლილი ჩალა.
ჩემ წინ სარკეა დიდი,
შიგ სარკეები ჩანან.

ყველა სარკეში მე ვარ,
როგორ ბევრი ვარ თურმე,
დროთა დინებას ვგავარ,
წლების ჩანჩალა ურემს.
მივდივარ, განა ვდგავარ
და კვლებად ვტოვებ ხნულებს.

როგორც სარკეში სარკე,
წლებიდან წლებში წავალ,
ავაგებ ახალ კოშკებს,
დიდებს, ლამაზებს, მრავალს,
როგორც სარკეში სარკე,
წლებიდან წლებში წავალ.

საოცარი ბავშვი! ვუნდერკინდი! – ხშირად ისმოდა ეს სიტყვები მის მიმართ. ლექსები თავად მეტყველებენ ამაზე და ადვილად რწმუნდები, რომ მართლაც საოცარი პოეტური ნიჭით იყო დაჯილდოებული ინოლა გურგულიასა და ანზორ სალუქვაძის შვილი, „კაცად დაბადებული ბიჭი“* – მამუკა!

დედა – თავისი დახვეწილი და ლალი შემოქმედებით, მდიდარი სამყაროთი, საოცარი ჰანგებით, მელოდიებით, ლექ-

* მამუკა სალუქვაძისადმი თქმული ეს მეტაფორა მწერალ მაკა ჯოხაძეს ეკუთვნის.



სებით, ნოვატორული ესთეტიკით, ჯადოსნური ხმითა და, რაც ყველაზე მთავარია, სიკეთითა და სიყვარულით სავსე პიროვნული თვისებებით – მამუკას მთავარი სულიერი მასაზრდოებელი იყო.

მამა – ცნობილი პოეტი, მწერალი, დრამატურგი, სცენარისტი, რუსთაველისა და გალაკტიონის პრემიების ლაურეატი, ცოცხალი მაგალითი შემოქმედისა, მასწავლებელი სიტყვის ოსტატობისა, რითმათა მუსიკისა.

მამუკას ბავშვობაშივე ათვისებული სიტყვათა მარაგი, ლექსიკის სიმდიდრე თავად მეტყველებს მშობელთა ამაგზე, მასში სილამაზის, სიტყვის ესთეტიკის გაღვივებისთვის ზრუნვაზე. თუმცა, ის შეგრძნება რიტმისა, რითმათა პოეტურობისა, რაც მამუკას ადრეულ ლექსებშივე ვლინდება, შეუძლებელია ნასწავლი იყოს; უდავოა, რომ ეს მისი განსაკუთრებული ნიჭის ნაყოფია. საოცარი ხატოვნება, ფერთა გამა, აზრთა სიმწიფე, ფილოსოფიურობა ხშირად დაუჯერებელსაც ხდის ამა თუ იმ ლექსის შინაარსისა და ავტორის ასაკის შესაბამისობას.

მამუკა სალუქვაძე რომ ნამდვილ პოეტად დაიბადა და მისი ნიჭი მხოლოდ ვუნდერკინდობით არ შემოიფარგლა, ეს მისი მრავალმხრივი და მრავალნახნაგოვანი ორმოცდაერთწლიანი შემოქმედებითი ცხოვრებით დადასტურდა. უამრავი ლექსის, პიესების, პოემების, როკოპერის ლიბრეტოს თუ საბავშვო პოეზიის გარდა, მან საინტერესო იდეების, განსახორციელებელი



მამუკა სალუქვაძე და ინოლა გურგულია



ანზორ და მამუკა სალუქვაძეები.
კადრი ოთარ იოსელიანის ფილმიდან „გიორგობისთვე“

ჩანაფიქრების მდიდარი ჩამონათვალიც დატოვა, რომელიც თავის ყურადღებასა და შესწავლა-განხორციელებისთვის ზრუნვას მოელის.

თავის პირველ გამოცემულ კრებულში, სახელწოდებით „ჰერბარიუმი“, * მამუკა სალუქვაძემ სხვადასხვა ასაკში შექმნილ რჩეულ ლექსებს მოუყარა თავი, რომელთა შორის, ცხადია, ბავშვობის ლექსებსაც დაუთმო ცალკე ქვეთავი, სათაურით „შვიდიდან – თოთხმეტამდე“. მხოლოდ მათი წაკითხვაც საკმარისია, რომ განგაცვიფროს და აღგაფრთოვანოს საოცარმა ნიჭმა, ღრმა პოეტურობამ, რომელმაც სულ პატარა ბიჭში ასე ძლიერად, მრავლისმეტყველად და სინატიფით იჩინა თავი.

ბავშვობაში დაწერილი მხოლოდ თერთმეტი ლექსი აქვს შეტანილი მამუკას „ჰერბარიუმში“. სხვა ლექსებისგან განსხვავებით, ყოველ მათგანს შექმნის წელი აქვს მიწერილი. ამ ლექსთაგან ხუთი მოძიებულ აუდიოფირზეც არის წარმოდგენილი, ** თუმცა აუდიოჩანაწერში მამუკას ბავშვობა-სიყმაწვილის პერიოდის კიდევ ცამეტი ლექსია შესული. მათი შექმნის წლები ჩვენთვის ცნობილია და 1964-1971 წლებს მოიცავს. დათარიღებები, უმეტეს შემთხვევაში, მამუკას ლექსების ინოლას ხელით გადაწერილ რვეულებშია მოცემული. ეს რვეულები,

* მამუკა სალუქვაძე – ჰერბარიუმი. თბილისი, 1988

** იხ. №№ 5, 7, 12, 13, 23.

მამუკას ხელნაწერებთან ერთად, მის საოჯახო არქივში ინახება.*

ძველ აუდიოჩანაწერში არსებული 33 ლექსის ავტორისეული თანმიმდევრობა წინამდებარე გამოცემაშიც შენარჩუნებულია. მასში ლექსთა შექმნის ქრონოლოგია არ არის დაცული. მამუკას მეუღლის, ამ ნიგნის რედაქტორის, დოდო იაშვილის დახმარებით ყველა მათგანის ხელნაწერი იქნა მოძიებული. ეს კი ლექსების სათაურების დადგენაშიც დაგვეხმარა, ვინაიდან აუდიოჩანაწერში ავტორი არ აცხადებს მათ. მამუკას პოეზიაში მრავლად გვხვდება უსათაურო ლექსებიც.

პირველი, ვისაც მამუკა ახალდანიერულ ლექსებს უკითხავდა, უზიარებდა – დედა იყო. თუმცა, ამ ფუნქციას ხშირად მისი მეგობრებიც ინაწილებდნენ, ბავშვობის მეგობრები (რომელნიც რატომღაც ყველა თავისზე რამდენიმე წლით უფროსი ჰყავდა) – ეს იყო ის წრე, რომელშიც მისი ყოველი ახალი ლექსი ფასდებოდა და აღიარებას ჰპოვებდა. მამუკას ცხოვრება ერთგული და მოსიყვარულე მეგობრებით კი მუდამ სავსე იყო.

მამუკა სალუქვაძის პოეზიისა და საოცარი ნიჭის აღიარებას იმ საღამოებზედაც ეხსნებოდა გზა, რომლებიც ჯერ სკო-

* ინოლას მიერ გადაწერილი მამუკას ლექსების ერთი რვეული, რომელიც 1969 წლით არის დათარიღებული, ჩემს საოჯახო არქივშიც არის დაცული.



მეგობრები:

მამუკა სალუქვაძე, გიორგი ოთხმეზური და ზაზა მიქაშავიძე





მამუკა სალუქვაძე პიონერთა სასახლის ქართული ლიტერატურის
სექციის სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე
(მარჯვნივ: ანზორ ერქომაიშვილი)

ლაში, პიონერთა სასახლეში, შემდეგ ინსტიტუტში ტარდებოდა ხოლმე, მაგრამ მისი შემოქმედება რომ უფრო მეტ ყურადღებას და ფართოდ დაფასებას იმსახურებდა, ამას ახლა უფრო ვხვდებით.

ოცდამეორე წლის ასაკში მამუკა სალუქვაძეს უმძიმესი ცხოვრებისეული გამოცდა ხვდა წილად. ახალდაოჯახებულ, ხალისით სავსე ახალგაზრდა პოეტს, რომელიც პირველი შვილის გაჩენის სიხარულის განცდაში იყო, მშობიარობის შემდგომ მეუღლის, ნინო ოქრომჭედლიშვილის გარდაცვალების თავზარდამცემი ტკივილი დაატყდა თავს. ამის გამო მამუკას პირმშოს *ინოლას* ნაცვლად დედამისის სახელი – ნინო დაერქვა. და ეს მოხდა უკვე მძიმე ავადმყოფობაში მყოფი დედის – ინოლას გარდაცვალებამდე ათიოდე დღით ადრე... ეს იყო უმძიმესი განსაცდელი მთელი ოჯახისთვის და, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით მამუკასთვის...

დიდი სიყვარულის უნარი, რწმენა, რომელიც ჩანერგილი ჰქონდა მას დედისგან, პიროვნული სულიერი სიმტკიცე, მეგობრების თანადგომა, პატარა ნინო – ალბათ ამან შეაძლებინა ეპოვა ძალა, კვლავ ჰყვარებოდა სიცოცხლე, კვლავ მიბრუნებოდა პოეზიას, კვლავ ყოფილიყო თავის საყვარელ სამეგობროსთან ერთად და განეგრძო თავისი უკვე ტკივილიანი, მაგრამ მდიდარი შემოქმედებითი გზა.

ეს იყო ხსნა და აღსრულება ინოლას ანდერძისა:

„მამუკა, დედი!

შენ შემოგვევლოს შენი დედიკო, შენ იცი, როგორ ლამაზად გამიგრძელებ და გამიხანგრძლივებ სიცოცხლეს. დედის დამარხვა ვაჟუკაცის ვალია. შენ პირველი არ ხარ, გახსოვდეს.

რა აზრი აქვს სხეულს და მძორს, როცა ჩემი სული შენში ცოცხლობს, ჩემი ათასი ფიქრი და გრძნობა შენში გრძელდება, სიცოცხლეო ჩემო.

იყავი ბედნიერი მასთან, ვინც გიყვარს. იყავი ჩემსავით ხალისიანი. გიყვარდეს მამული შენი და იცოდე, რომ შენი ნიჭით და კალმით დიდი ვალი გაქვს მის წინაშე.

ნუ გეშინია დედი! მე შენში ვარ და ამით შენთან ვარ მუდამ“.*



* იხ. ინოლა გურგულია – პოეზია, თარგმანები, წერილები. შეადგინა ია შულღიაშვილმა. თბილისი. „მერანი-3“. 1999. გვ. 161

მამუკა სალუქვაძის შემოქმედებითი მრავალმხრივობის გამოხატულებაა მის მიერ შესრულებული მთავარი როლი ალექსანდრე რეხვიაშვილის მხატვრულ ფილმში „XIX საუკუნის ქართული ქრონიკა“, (1978). ამის შემდგომ, 1979 წლიდან მამუკა საქართველოს ტელე-რადიო მაუწყებლობაში იწყებს მუშაობას. აქ მას შესაძლებლობა ეძლევა კულტურის სხვადასხვა სფეროს შესახებ გადაცემების მომზადებისა, და ქართულ ტელე-რადიო სივრცეში გარკვეული ნოვაციებიც შემოაქვს. ამავე დროს, ეს სივრცე აღმოჩნდა მისი პოეზიის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა-მინოდების გზა. სამწუხაროდ, ლექსების ყველა ჩანაწერმა, რომელიც აქ ჰქონდა მომზადებული, დღევანდელობამდე ვერ მოაღწია.* ამის ნიმუშად უნდა დავასახელო მამუკა სალუქვაძის მიერ იმპრესიონისტ მხატვართა ნახატების პოეტურ რეფლექსიებად შექმნილი ოცი ლექსისგან შემდგარი ციკლის „Impression – შთაბეჭდილების“ საფუძველზე შედგენილი სატელევიზო გადაცემა, სადაც ნახატების ფონზე ლექსებს ავტორი თავად კითხულობდა.** სამწუხაროდ, ეს ფირიც აღარ არსებობს.

* იმ დროს, ფირების დაზოგვის მიზნით, ეთერში გასულ ჩანაწერებზე ახალი გადაცემების ზედ გადაწერა ხდებოდა. ვიცით, ამ „ეკონომიურ“ მიდგომას რამდენი უნიკალური და მნიშვნელოვანი ჩანაწერი შეეწირა?

** გადაცემის მუსიკალური ნაწილი XX საუკუნის კომპოზიტორთა ნაწარმოებებით იყო გაფორმებული, რომელთა შერჩევაც მამუკა სალუქვაძის მიხედვით მუდლიაშვილთან თანამშრომლობით განხორციელდა.



კადრი ალექსანდრე რეხვიაშვილის ფილმიდან
„XIX საუკუნის ქართული ქრონიკა“



ფილმის გადაღებისას
(კინოკამერასთან – რეჟისორი ალექსანდრე რეხვიაშვილი)



XIX საუკუნის
ძეგლი



1989 წელს ამ ციკლიდან ათი ლექსი ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა.* აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „შთაბეჭდილებიდან“ ხუთი ლექსი ქართული ენისა და ლიტერატურის სასკოლო სახელმძღვანელოშიც იქნა შეტანილი.** მოგვიანებით „Impression – შთაბეჭდილება“ ცალკე წიგნად გამოიცა.*** ნიმუშად ამ ლექსებიდან ვინსენტ ვან გოგის „მზესუმზირების“ მამუკასეულ პოეტურ ხედვას გთავაზობთ:

ფონად ცა, სიცხით გახუნებული.
სიბრტყე მხურვალე,
სივრცე ურვილი.
თიხის ქოთანნი გახურებული,
შიგნით – წყურვილი.
თავად სამყაროს არ გაგონებს
სურათი განა?!

ყელგამომშრალი ყვავილები,
მზეებს რომ ჰგვანან,
ქოთანში დგანან



* ჟურნალი „ცისკარი“ 1989, №4 გვ. 41-44.

** ამის ინიციატორი სახელმძღვანელოს ავტორი, ლიტერატურათმცოდნე ვახტანგ როდონიაა გახლდათ. იხ.: ქართული ენა და ლიტერატურა. მე-7 კლასის სახელმძღვანელო. გამომცემლობა „საარი“. თბილისი, 2006.

*** მამუკა სალუქვაძე – Impression – შთაბეჭდილება. თბილისი, 2007.

და სამუდამოდ მოწყვეტილები ჯერ კიდევ დილით,
იმზირებიან მოწყენილები:

– სად გაქრა ჩრდილი?

– სადმე მინაში, თუ ხმებიან ჩვენი ძირები...

უძირო ფიქრში იძირებიან მზესუმზირები.

ძალზე დასანანია, რომ ლექსების ციკლის „შთაბეჭდილების“ საავტორო აუდიოჩანაწერი დაკარგულია, მაგრამ ტელევიზიაში ჩანერილი უფრო გვიანდელი ჩანაწერები, საბედნიეროდ შემონახულია. ისინი ამ კრებულის აუდიოჩანაწერებში არის წარმოდგენილი. კერძოდ, ათი ლექსი, ერთ სუნთქვაზე ჩანერილი, სხვადასხვა დროს შექმნილი ათი მინიატურა (№№34-43). ასევე, ორი ლექსი: უსათაურო ვერლიბრი „*** ოთახში იდგა კვამლი...“ (№44) და ღრმა, დიდაქტიკური შინაარსის მქონე „სასწაული“ (№45), რომლებსაც მამუკა კითხულობს მის მიერ შექმნილ სატელევიზიო ფილმში „უკანასკნელი ფოთოლი“.

ტელევიზია, უფრო ზუსტად, რადიო მაუწყებელი აღმოჩნდა მამუკასთვის ის სივრცე, სადაც თავის ბედს შეხვდა – აქ გაიცნო მან დოდო იაშვილი, მომავალში მისი მეუღლე, ერთგული და მოსიყვარულე ადამიანი.* ისინი 1982 წელს დაოჯახდნენ და

* მამუკას გარდაცვალების შემდეგ სწორედ დოდო იაშვილის დიდი ზრუნვითა და მონდომებით განხორციელდა დანატოვარი შემოქმედების დიდი ნაწილის, გამოუქვეყნებელი ლექსების, დრამების, პოემების, წერილების პუბლიკაცია.

შემდეგ წელს გაუჩნდათ შვილი, ლუკა. მამუკასთვის შვილები – ნინო და ლუკა იყვნენ ის შთაგონების წყარო, რამაც ძვირფასი საბავშვო ლექსები, გამოცანების ციკლი და, რაც მთავარია, ასი თავისგან შემდგარი, ენციკლოპედიური ცოდნის მიმცემი, შესანიშნავი საბავშვო პოემა „თუთიყუმ ჟაკოს თავგადასავალი“* დააწერინა. მამუკა სალუქვაძე ბავშვთა სამყაროს, მათი ენისა და სურვილების ამომკითხავი შემოქმედი იყო.

თავისი მრწამსითა და მსოფლმხედველობით ქრისტიანული ღვთისმოშიშების მატარებელმა ხელოვანმა ცხოვრების ბოლო წლებში განსაკუთრებული შემოქმედებითი მიდგომა გამოავლინა ძველი თუ ახალი აღთქმის სხვადასხვა სახის ტექსტების, ლოცვების, ქართველი წმინდანების ცხოვრებათა მიმართ, რაც მათ ლექსებად გარდათქმაში გამოიხატა.** საავტორო აუდიოჩანაწერის სახით მათგან დარჩა: ორი თავი – მეორე და მეცხრე მცნებები ციკლიდან „ათი მცნება“ და ასევე სანყისი მუხლები წიგნიდან „ამაოება ამაოებათა“ (მუხ. 1-5,15-18).***

* მოგვიანებით, 2011 წელს ეს პოემა დაბეჭდა გამომცემლობა „პალიტრა L“-მა.

** მათ შორის: „მოქცევა ქართლისა“ (1992), „ათი მცნება“ (1994), „ამაოება ამაოებათა“ (1994), „შვიდი დღე შესაქმისა“, „დილის ლოცვანი“, „ანდრია პირველწოდებული“ (1998) და სხვ.

*** ეს ჩანაწერები გადაცემა „ალიონისთვის“ თ. ცაგარეიშვილის მიერ მაჰუკასთან ჩაწერილმა ინტერვიუმ შემოგვინახა.



ცალკე ყურადღებას იმსახურებს მამუკა სალუქვაძის მთარგმნელობითი შემოქმედება. ფრანგული პოეზიისადმი ფაქიზი გრძნობისა და სიყვარულის გამომხატველია მისი სიტყვები: „ფრანგულ პოეზიას მე შევადარებდი ვარსკვლავებით მოჭედულ ცას, სადაც ყოველი ვარსკვლავი ციმციმებს და კაშკაშებს იმისდა მიხედვით, თუ რამდენად დიდია და რაოდენი მანძილით არის დაშორებული ჩვენგან“. ვიქტორ ჰიუგოს, ვოლტერის, პიერ-ჟან დე ბერანჟეს, ლეკონტ დე ლილის, ემილ ვერჰარნის, კლემან მაროს, არტურ რემბოს და სხვათა ლექსების მისი თარგმანები ამ სიყვარულის დასტურია. მამუკა თავის მომზადებულ პოეტურ სატელევიზიო ფილმში „შემოდგომის სიმღერა“ სამი ავტორის – ანტუან-ვინსენტ არნოს, პოლ ვერლენისა და რობერ დესნოსის თითო ლექსის თარგმანს კითხულობს, რომელთაც ფრანგული დედნის ფრაგმენტებსაც ურთავს (№№49-51). მათ შორის, პოლ ვერლენის ლექსის დასაწყისს იგი ბეთჰოვენის საფორტეპიანო პიესა-ბაგატელის „ელიზას“ სანყის მელოდიაზე აღილინებს (№50).

ვერლიბრად იკითხება მამუკას ჩანახატი „დიდებულია მთანმინდა!“, რომელშიც მთანმინდის კალთაზე დასვენებულ ორ გენიოსს – ვაჟა-ფშაველას და გალაკტიონს შეჰხარის (№52).*

* აუდიოჩანაწერი აღებულია მამუკა სალუქვაძის რადიო გადაცემიდან „ხვალ თბილისობა“.



„თვითგამოხატვის რომელიმე ერთ კონკრეტულ ფორმას პრინციპულად არ და ვერ ჰგუობდა და მუდმივად იხარჯებოდა დრამატურგიაში, მუსიკაში, რეჟისურაში, ჟურნალისტიკაში, ლინგვისტიკაშიც კი, აღარ ვამბობთ მის, მართლაც მხოლოდ მამუკასეულ თვითნაბად პოეზიაზე, ისე გამოგნებლად რომ აახლოვებდა მას ღმერთთან“ – წერს მამუკა სალუქვაძის შესახებ მწერალი ნინო ხარატიშვილი.*

საქართველოში მყოფი ამერიკელი პოეტი და მწერალი, თომას ბერტრანი თავისი მეგობარი ექიმის, კენეტ უოკერი-სადმი მიწერილ წერილში აღნიშნავს: „მე მიმაჩნია, რომ მამუკა სალუქვაძე თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პოეტია, ნიჭიერი, მოაზროვნე, მიზანდასახული, სრულიად თავისუფალი პირფერული გადმონაშთებისაგან. მუზა ყველაზე მეტად მასზეა შეყვარებული. ნახავ, როგორი დიდებული კაცია, რომელიც სავსეა არაჩვეულებრივი მომხიბვლელობით და ინტერესით სხვათა მიმართ. ის, რომ მისი მნიშვნელობა, როგორც პოეტისა, საზოგადოებას არა აქვს გაცნობიერებული, მისთვის არაფერს ნიშნავს! იგი ქართველი ჯონ კიტსი, თომას ელიოტი, რობერტ ფროსტი და რობერტ პენ უორენია, ერთად აღებული“.**

* იხ. მამუკა სალუქვაძე – რჩეული, ტომი II. შემდგენლები: დოდო იაშვილი და თამარ კიკვაძე. გამომცემლობა „მერანი“. თბილისი, 2015. გვ. 60.

** იქვე. გვ. 60-61.





დაბოლოს, ორი სიმღერის შესახებ.

სახლში არსებული ძველი მაგნიტოფირებიდან ერთ-ერთზე ინოლა გურგულიას უნიკალური, დღემდე გამოუქვეყნებელი ჩანაწერი მოგვეპოვება სიმღერისა, რომელიც იწყება სიტყვებით:

„მე გამახსენდა გრძელი კაბები,
ბასრი ხანჯლები, შავი ჩოხები...“

მუსიკალური ერთ ამ ყარაჩოღლურ-ბაიათური სტილისა და ხასიათის მქონე სიმღერის არც მუსიკის და არც ტექსტის ავტორი ჩემთვის ცნობილი არ იყო, სანამ დოდო იაშვილის მიერ გამოცემულ მამუკას ლექსებისა და პიესების ორტომეულში არ წავაწყდი ლექსს „ძველი თბილისი“.* სწორედ მამუკას ეს ლექსი აქვს ამღერებული ინოლას, და, როგორც ჩანს, თავადვე თხზავს ბაიათის ტიპის ჰანგს. გიტარის თანხლებით აჟღერებამდე (რისი ჩანაწერიც არის მოცემულ აუდიოდისკოში შესული), ამ სიმღერის პირველ სტროფს ინოლა რამდენჯერმე უაკომპანიმენტოდ იმეორებს და ვარიანტული სახესხვაობებით ცდის. როგორც ჩანს, სიმღერის შექმნის პროცესია აღბეჭდილი მაგნიტოფირზე. ჩემთვის უცნობია, თუ რა დანიშნულებით იქმნებოდა ეს სიმღერა, მაგრამ, თუ გავიხსენებთ ინოლასვე ნამღერ ამავე სტილისტიკის სიმღერას „რა კარგი ხარ, რა კარგი“, რომელიც რეჟისორ ოთარ იოსელიანის ფილმ „გიორგობისთვეში“

* მამუკა სალუქვაძე – რჩეული. 2 ტომად. გამომც. „მერანი“. ტომი I. თბილისი, 2008. გვ.203.

ფრაგმენტულად არის ჩართული, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ეს სიმღერაც რაიმე მსგავსი მიზნით შეიქმნა (ოღონდ არსად გამოყენებულა). ასეა თუ ისე, „ძველი თბილისი“ ინოლას მიერ მამუკას ლექსზე შეთხზული ერთადერთი სიმღერაა, რომელმაც დღევანდელიობამდე მოაღწია (არსებობს ცნობა, რომ ინოლას კიდევ ერთი სიმღერა ჰქონდა შექმნილი მამუკას ლექსზე – „ნანა“, რომლის ჩანაწერიც, სამწუხაროდ არ მოგვეპოვება). სიმღერა „ძველი თბილისი“ გამონაკლისია აუდიოჩანაწერებში: იგი არა ლექსის ავტორის – მამუკა სალუქვაძის, არამედ მუსიკის ავტორის – ინოლა გურგულიას ხმით არის წარმოდგენილი. (იხ. აუდიონიმუმი №53).

კრებულისა და აუდიოჩანაწერის დამასრულებელია მამუკას სიმღერა „ჩემი ბათუმი“, რომლის დასაწყისში ზღვისა და თოლიების ხმა ისმის.* ეს მამუკას როგორც პოეზიის, ისე საკომპოზიტორო და სასიმღერო ხელოვნების ერთად წარმომჩენი ნიმუშია. მის მიერვე აჟღერებული შვიდსიმიანი გიტარის ფონზე ისმის გრძნობითა და სიყვარულით სავსე ხმა, მამუკასთვის დამახას-

* ჩანაწერი მამუკა სალუქვაძის კერძო ინიციატივით მომზადდა სატელევიზიო სტუდიაში 1995 წელს. იგი კიდევ ერთი სიმღერის ტექსტისა და მუსიკის ავტორია – „რად მიყვარს ასე“, რომელიც ასევე ბათუმისადმი არის მიძღვნილი. მამუკამ ორივე სიმღერა 1995 წელს შექმნა, მაშინ გამოცხადებული კონკურსისთვის „სიმღერა ბათუმზე“. „ჩემი ბათუმის“ სანოტო ტრანსკრიფცია და საფორტეპიანო აკომპანემენტის არანჟირება ეკუთვნის მიხეილ მულღიაშვილს (გვ.114-115).



იათებელი საშემსრულებლო მანერით. მასში იკითხება სიყვარული, რომელიც არა მხოლოდ ბათუმს ეკუთვნის; იგი ეკუთვნის ზღვას, ეკუთვნის სამშობლოს. სიმღერის ბოლოს ისევ ზღვისა და თოლიების ხმა მიჰყვება. მას მატარებლის ხმა ემატება, რომელიც ბოლოს ხორუმის რიტმად იქცევა... ამ ფონზე ისმის მამუკას სიტყვები:

ნეტა მალე გათენდეს...

ნეტა მალე გათენდეს...

ნეტა მალე გათენდეს...

წინამდებარე კრებულის სახელწოდებას ეს სიტყვები დაედო საფუძვლად. ვფიქრობ, ლოცვას მიმსგავსებულ ამ სამჯერ გამეორებულ ფრაზაში, ამ ხმაში, მის ინტონაციაში მამუკას ჩაქსოვილი აქვს როგორც სევდა, მოლოდინი, ისე ნატვრა და იმედი ქალაქის, ქვეყნის, მშობელი ერის ნათელი მომავლის ხილვისა.

დაე, მალე გათენდეს!

დათო შულღიაშვილი





აუდიოჩანანწერის ინტერნეტბმული და QR კოდი:

<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/442519>



მამუკა სალუქვაძის გამოქვეყნებული წიგნები:

ჰერბარიუმი. თბილისი, „მერანი“, 1988.

მოქცევა ქართლისა. თბილისი, „მერანი“, 1992.

ამაოება ამაოებათა (ეკლესიასტეს მიხედვით). თბილისი, „გულანი“, 1994.

ათი მცნება. თბილისი, „გულანი“, 1994.

ვიქტორ ჰიუგო – ლექსები. ფრანგულიდან თარგმნა მამუკა სალუქვაძემ.
თბილისი, „გულანი“, 1998.

რწმენა – შეადგინა დოდო იაშვილმა. თბილისი, 1998.

Impression – შთაბეჭდილება. თბილისი, 2007.

რჩეული, ორ ტომად – I ტომი. თბილისი, „მერანი“ 2008; – II ტომი.
თბილისი, „მერანი“, 2015. შემდგენელ-რედაქტორები: თამარ კიკვიძე,
დოდო იაშვილი.

საოცარი ყვავილია პოეზია (გასაფერადებელი ლექსები). პროექტის
ავტორი: ლუკა სალუქვაძე. თბილისი, „პალიტრა L“, 2010.

თუთიყუმ ჟაკოს თავგადასავალი. თბილისი, „პალიტრა L“. 2011.